მოწყობილობის დანიშნულება

ბლენდერი — მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია საკვების დასაქუცმაცებლად, ემულსიების, პიურეს მოსამზადებლად, სასმელების, მუსებისა და სხვა მსგავსი პროდუქტების ასათქვეფად.

უსაფრთხოების ზომები

- კვების წყაროსთან დაკავშირებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი სახლის ელექტროქსელის ძაბვა შეესაბამება მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებს. შეაერთეთ მოწყობილობა მხოლოდ დამიწებულ როზეტში.
- გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამორთეთ მოწყობილობა ელექტროქსელიდან. არ ჩართოთ მოწყობილობა ხილული დაზიანებების, აგრეთვე კაბელის ან ელ. ჩანგლის დაზიანების შემთხვევაში. მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- მოცემული მოწყობილობა არ არის განკუთვნილი იმ პირთა (ბავშვების ჩათვლით) გამოსაყენებლად, რომლებსაც აქვთ შეზღუდული ინტელექტუალური ან ფიზიკური შესაძლებლობები, ან არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და ცოდნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- არ გამოიყენოთ მოცემული მოწყობილობა წყლის წყაროების უშუალო სიახლოვეს. არასოდეს მოათავსოთ მოწყობილობა წყლის ჭავლის ქვეშ და არ ჩადოთ იგი მთლიანად წყალში.
- არ შეეხოთ ელექტროჩანგალს ან კვების კაბელს სველი ხელებით.
- ტრავმებისა და დაზიანებების თავიდან ასაცილებლად, ყოველთვის მოარიდეთ ხელები, თმა, ტანსაცმლის მცირე დეტალები, ასევე სამზარეულოს აქსესუარები და სხვა ჭურჭელი მომუშავე სადღვებსა და დანის პირებს. არ შეეხოთ მოწყობილობის მოძრავ ნაწილებს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა შენობის გარეთ.
- ყოველი გამოყენების წინ დარწმუნდით, რომ მისი ყველა ნაწილი მჭიდროდ არის ფიქსირებული თავის ადგილზე.
- გამოიყენეთ მხოლოდ ის კომპლექტუაციები, რომლებიც მოჰყვება მოწყობილობას. გარეშე პირების მიერ წარმოებული კომპლექტუაციების გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე გაგიუქმოთ უფლება უფასო საგარანტიო მომსახურებაზე.
- არ დატოვოთ ჩართული მოწყობილობა უმეთვალყურეოდ.
- არ შეაერთოთ ბლენდერი დამაგრძელებელში, რომელშიც ჩართულია სხვა მძლავრი საყოფაცხოვრებო ტექნიკა.
- არ მოათავსოთ ბლენდერის თასში ძალიან ცხელი პროდუქტები და სითხეები (60°C-ზე მაღალი ტემპერატურით).
- გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან, თუ მას არ იყენებთ, ასევე გაწმენდისა და საცმების დაყენება/მოხსნის წინ.
- რბილი პროდუქტების ათქვეფისას მიქსერის უწყვეტი მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს 1 წუთს, ხოლო მყარი პროდუქტებისა — 10 წამს. განმეორებით გამოყენებამდე აცადეთ მოწყობილობას ოთახის ტემპერატურამდე გაცივება.
- საზომი ჭიქა და დასაქუცმაცებლის თასი არ არის გამოსადეგი მიკროტალღურ ღუმელში გამოსაყენებლად.